

შპს “ნოიდი“

კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2021 წელი

ქ. თბილისი
2022

შპს “ნიოდი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგები	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	5

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
შენიშვნა 4. ხარჯები და სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.....	11
შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი.....	11
შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები	12
შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები	12
შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები	12
შენიშვნა 9. მარაგი	13
შენიშვნა 10. მოკლევადიანი ვალდებულებები	13
შენიშვნა 11. საბანკო სესხები	13
შენიშვნა 12. საკუთარი კაპიტალი	14
შენიშვნა 13. დაკავშირებული მხარეები.....	14
შენიშვნა 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
შენიშვნა 15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	8	29,238	37,870	525,425
სავაჭრო მოთხოვნები		241,710	126,581	83,614
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული სახსრები		26,846	35,810	44,359
ძირაგები	9	136,980	85,447	90,247
მზა პროდუქცია				
სხვა				
სხვა მოკლევადიანი აქტივები		3,961		
სულ მოკლევადიანი აქტივები		438,735	285,708	743,645
ბიოლოგიური აქტივები				
თვითღირებულების მოდელით				
გადაფასების მოდელით				
გუდვილი		340,336		
სხვა არამატერიალური აქტივი	7	91,903		
ძირითადი საშუალებები	6	495,020	285,906	307,936
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები		6,023		
სულ აქტივები		1,372,017	571,614	1,051,581
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	10	73,839	119,291	69,462
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	5,066		
საგადასახადო ვალდებულებები	10	19,435	5,300	5,133
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	1,188		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		99,528	124,591	74,595
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	1,202,237	341,243	805,513
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები		1,301,765	465,834	880,108
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს ს შემთხვევაში 'კაპიტალი' კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	12	(196,333)	105,780	171,473
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები	12	156,636		
არამაკონტროლებელი წილი	12	109,949		
საკუთარი კაპიტალი		70,252	105,780	171,473
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,372,017	571,614	1,051,581

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშვილი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



საქმიანობის შედეგები

	2021 წ.	2020 წ.
ნეტო ამონაგები	1,659,877	1,280,274
საქონლის გაყიდვიდან	1,650,600	1,260,635
მომსახურების გაწევიდან	9,277	1,906
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		17,733
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,160,537)	(929,565)
საერთო მოგება	499,340	350,709
სხვა შემოსავალი	3,269	7,865
დასაქმებულთა ანაზღაურება	(113,262)	(65,107)
ცვეთა და ამორტიზაცია	(34,573)	(69,362)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(57,531)	(22,455)
იჯარის ხარჯი	(17,966)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(434,783)	(267,343)
სულ საოპერაციო ხარჯები (შენიშვნა 4)	(654,846)	(416,402)
საოპერაციო მოგება	(155,506)	(65,693)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	-	-
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(შენიშვნა 5) 29	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(შენიშვნა 4) 20,776	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(134,701)	(65,693)
მოგების გადასახადი	(38,234)	
მოგება/(ზარალი)	(172,935)	(65,693)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-	-
მირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(172,935)	(65,693)
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	105,780	171,473
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(19,229)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	156,636	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	70,252	105,780

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2021 წ.	2020 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,261,012)	29,169
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(97,014)	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,349,394	(516,724)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(8,632)	(487,555)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	37,870	525,425
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	29,238	37,870

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნიოდი“ (შემდგომში „ჯგუფი“) რეგისტრირებულია 2015 წლის 9 სექტემბერს. წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. (ს/ნომერი: 400152614).

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისთვის. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნამალაძევის რაიონი, გრ. ნათამის ქ. #31. ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, სვიმონ შოთაძის ქ.#7.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მესაკუთრეებს შორის გადანაწილებული წილები:

შოთა ოდიშვილი	(#01019058854)	50%
სიმონ ნიკაჭაძე	(#18001017205)	50%
სულ		100 %

2021 წლის 01 ოქტომბერს შეძენილი იქნა შპს „ქვაკუთხედი 2013“-ის 75%-იანი წილი. 25%-იანი არამაკონტროლებელი წილის მფლობელია ლაშა გაფრინდაშვილი (#01001071766).

შპს „ქვაკუთხედი 2013“ დაფუძნებულია 2013 წლის 27 სექტემბერს. (ს/ნომერი: 404454201).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, შ.ღამბაშიძის ქ.# 2ა, ბ.8. ფაქტიური მისამართი: დუშეთის რ/ნი, სოფ.ციხისძირი (გადამამუშავებელი ქარხანა).

შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება შპს „ნიოდის“ და მისი 75%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს შპს „ქვაკუთხედი 2013“-ის ფინანსური ანგარიშგებებისაგან. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას და მენეჯმენტის მხრიდან განსჯას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები აგრეთვე საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშვილი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები - საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,5040

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ ზარალში.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. მარაგების თვითღირებულება - შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯები, აგრეთვე ის დანახარჯები, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და უშუალოდ მარაგების შეძენასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- | | |
|----------------------------|-----------|
| • მანქანა-დანადგარები | 5-10 წელი |
| • ოფისის აღჭურვილობა | 5-10 წელი |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5-10 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5-10 წელი |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაა 10 წელი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური მარაგის თითოეული ერთეულის

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



(ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა (კომპენსირება), აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება მარტივ (ჩვეულებრივ) იჯარად.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები წრფივი მეთოდით აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

საბანკო სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადასახადები

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ახალი მოდელის მიხედვით, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან (ე.წ. "ესტონური", მოდელი) კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



შენიშვნა 4. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარჯები მოიცავს:

	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება	113,262	65,107
საპენსიო ხარჯი	2,267	1,302
ცვეთა და ამორტიზაცია	34,573	69,362
საპროცენტო ხარჯი	57,531	22,455
საიჯარო ქირა	17,966	12,712
ა/მ ნაწილების ხარჯი	52,380	39,762
საკანცელარიო, საოფისე და კომპიუტერის ხარჯები	763	
სატრანსპორტო და საწვავის ხარჯი	13,062	13,004
ბანკის საკომისიო	206	493
დაცვის მომსახურება	839	
კომუნიკაციის ხარჯები	18,687	14,012
სხვადასხვა სამეურნეო ხარჯი	5,039	10,909
საგადასახადო ჯარიმა-საურავები	2,872	
რეალიზაციის ხარჯი და ფასდათმობა	277,780	102,032
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	60,888	12,452
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	60,665
სულ	(658,115)	(424,267)

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2021	31.12.2020
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	47,167	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(26,391)	(60,291)
სულ	20,776	(60,291)

შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი

	31.12.2021	31.12.2020
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	47	32
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(18)	(406)
სულ	29	(374)

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები

	მაბჟანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2021	393,823	12,801	90	230,797	637,511
შემოსვლა	8,470	7,544	-	81,000	97,014
გასვლა	(17,088)	(6,460)	-	(116,114)	(139,662)
პერიოდის ცვლილება	(53,970)	(4,672)	(5)	(41,196)	(99,843)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	331,235	9,213	85	154,487	495,020

ძირითადი საშუალებების ცვლილების ხარჯის გაანგარიშება ხორციელდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა.

შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები

წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2021	208,779
შემოსვლა	-
გასვლა	(80,134)
პერიოდის ცვლილება	(36,742)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	91,903

შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	21,871	17,138
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7,324	20,701
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	43	31
	29,238	37,870

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



შენიშვნა 9. მარაგი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2021	31.12.2020
საქონელი	2,827	2,269
ნედლეული და მასალები	106,806	76,940
მზა პროდუქცია	18,444	-
სხვა მარაგი	8,903	6,238
სულ	136,980	85,447

შენიშვნა 10. მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	73,839	119,291
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5,066	-
საგადასახადო ვალდებულებები	19,435	5,300
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (საპენსიო)	1,188	-
სულ	99,528	124,591

საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	1,267	-
გადასახდელი დღგ	5,327	-
გადახდილი დღგ	419	-
გადასახდელი ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	2,624	-
ქონების გადასახადი	1,946	-
სხვა გადასახადი (ბარათით)	7,852	5,300
სულ	19,435	5,300

შენიშვნა 11. საბანკო სესხები

ფინანსური ინსტიტუტიდან, „სს თიბისი ბანკისაგან“, 2021 წლის 29 სექტემბერს აღებული იქნა ფიქსირებულგანაკვეთიანი გრძელვადიანი სესხი (ევროში). საპროცენტო განაკვეთია წლიური 6%. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მთელი არსებული და სამომავლო მოძრავი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთით. სესხის დაფარვის თარიღია - 2027 წლის 05 ოქტომბერი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სს თიბისი ბანკის“ სესხის მონაცემები:

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



	31.12.2021	31.12.2020
გადახდილი ძირითადი თანხა	1,402,157	494,269
გადახდილი პროცენტი	57,531	22,455

ბანკის საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმავე პერიოდის ფინანსურ ხარჯად საბაზრო განაკვეთის გამოყენებით.

შენიშვნა 12. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

	საწასდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ კაპიტალი
ნაშთი 01.01.2021	-	105,780	-	105,780
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	156,636	156,636
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(172,935)	-	(172,935)
განაწილება მესაკუთრეებზე (გადახდილი დივიდენდი)	-	(19,229)	-	(19,229)
ნაშთი 31.12.2021	-	(86,384)	156,636	70,252

შენიშვნა 13. დაკავშირებული მხარეები

შპს „ნიოდსა“ და მის შვილობილ საწარმოს შორის შესრულებული ოპერაციები, რომელიც დაკავშირებული მხარეა, ელიმინირებულია კონსოლიდაციის დროს.


ტრანზაქციები დირექტორებთან და სხვა ხელმძღვანელებთან:

	31.12.2021	31.12.2020
ანაზღაურების მთლიანი თანხა	30,200	12,225

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი



შენიშვნა 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

შენიშვნა 15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 ნოემბერს.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

შოთა ოდიშელი
დირექტორი

2022 წლის 30 ნოემბერი

